ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№_____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 27 დეკემბრის №21/4663 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ივნისის №---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204559691) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთაზე მდებარე ბაღის ნაწილის (ფართობი: 9.0 კვ.მ.) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.23.688), ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურის მოწყობის მიზნით.

**მუხლი 2.** უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204559691) არსებობის ვადით.

**მუხლი 3.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

**განკარგულების პროექტთან დაკავშირებით**

**განმარტებითი ბარათი**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 27 დეკემბრის №21/4663 მომართვა, რომელიც შეეხება, ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთაზე მდებარე ბაღის ნაწილის (ფართობი: 9.0 კვ.მ.) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემას, არსებობის ვადით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურის დამონტაჟების მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204559691) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთაზე მდებარე ბაღის ნაწილი (ფართობი: 9.0 კვ.მ.) სარგებლობაში გაცემა (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.23.688) უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204559691) არსებობის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს. 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის. მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასევე, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს“.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი